მუსიკის გაკვეთილზე კლასიკური მუსიკალური ნაწარმოების მოსმენისას მოსწავლეთა ინტერესის გაზრდა

ავტორი:**დალი დოლიძე**

დღევანდელი ყოფა ცხოვრების სხვადასხვა – სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ-კულტურულ – სფეროში ფართომასშტაბიანი ცვლილებებით ხასიათდება. XX-XXI საუკუნეების ტექნიკურმა პროგრესმა წარმოუდგენელი საინფორმაციო ტექნოლოგიების, მულტიმედიის, სინთეზური ჟანრებისა და მუსიკის სხვადასხვა ტიპის განვითარება განაპირობა – ეს ყველაფერი გავლენას ახდენს თანამედროვე ბავშვებში მუსიკალური აღქმის სტრუქტურაზე. სოციალურ-კულტურული ურთიერთობების რეფორმირების ეპოქაში დღის წესრიგში მწვავედ დადგა ბავშვთა ინტერესის, როგორც მუსიკის სულიერი, მორალური და მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნების აღზრდის პრობლემა.

ინტერესი პიროვნების მთავარი მოტივატორი და შემოქმედებითი საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია. განათლებისა და სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია ინტერესის მიზანმიმართული ფორმირება. ჩვენი დროის კულტურის მდგომარეობა, მიანიშნებს იმაზე, რომ ახალგაზრდები უპირატესობას ანიჭებენ გასართობ, დაბალი ხარისხის მუსიკას, რომლებიც საშუალო მხატვრულ გემოვნებას აყალიბებს.

აკადემიური მუსიკა მინიმალურადაა წარმოდგენილი თანამედროვე მასობრივი კულტურის სივრცეში, ხოლო კლასიკური მუსიკალური ჟანრები და კლასიკური მუსიკის ნიმუშები საინფორმაციო სფეროდან აქტიურად იდევნება. არსებული სოციალურ-კულტურული ვითარების კონტექსტში თავისი პრაგმატიზმით, ეკონომიკური ინტერესების პრიორიტეტით, საზოგადოებისა და განათლების სისტემის განსაკუთრებული ამოცანაა ბავშვებისა და მოზარდების სულიერ განვითარებაზე ზრუნვა.

აქტუალურია მოზარდებში კლასიკური მუსიკის მიმართ ინტერესის განვითარების პრობლემა. ამ პრობლემის გადაწყვეტა მოითხოვს ღრმა და მრავალმხრივ მიდგომას – აუცილებელია კლასიკური მუსიკისადმი ინტერესის არსებითი მახასიათებლების დასაბუთება მოსწავლეების ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, მათი ინტერესის განვითარების დონის შესაფასებლად ყველაზე სრულყოფილი კრიტერიუმების შემუშავება, კლასიკური მუსიკის მიმართ მოსწავლეების ინტერესის გასაზრდელად ღონისძიებების კომპლექსის შემუშავება.

ესთეტიკური გემოვნება, მუსიკალური კულტურა, ხელოვნების მაღალმხატვრულ ნიმუშებთან ურთიერთობის აუცილებლობა ადრეულ ასაკში უნდა ჩამოყალიბდეს. მუსიკას განსაკუთრებული ადგილი უკავია სკოლამდელი ასაკის ბავშვების აღზრდაში. ის წარმოადგენს ბავშვის ფსიქიკის წამყვან, ემოციურ სფეროს და გადამწყვეტ როლს ასრულებს ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებაში, მისი გონებრივი ფუნქციების რეგულირებაში, ზოგადად ქცევაში. ადრეული ასაკიდან ბავშვები მკაფიოდ რეაგირებენ მუსიკაზე, რაც გამოიხატება მათ ემოციებში. ბევრი ბავშვისთვის მუსიკალური აღქმის მიზანმიმართული განვითარება სკოლამდე იწყება. ისინი ეცნობიან მათთვის ხელმისაწვდომ ხელოვნების ნიმუშებს, სწავლობენ – როგორ გააცნობიერონ მუსიკის შინაარსი და ბუნება, განასხვაონ მუსიკალური გამოხატვის საშუალებები, დაიმახსოვრონ მოსმენილი. სწორედ სკოლამდელ ასაკში იღებს ბავშვი მუსიკალური აქტივობის გამოცდილებას,

©განათლების e-სახლი

რაც შემდგომში ზოგად მუსიკალურ განვითარებაზე აისახება. რაც უფრო მეტად ეცნობა ბავშვი მუსიკას, მით უფრო ინტენსიურია მისი საერთო განვითარება. ბავშვები ხდებიან უფრო ყურადღებიანი, უფრო სწრაფად კონცენტრირდებიან, თავისუფლად საუბრობენ, უმჯობესდება მათი კოორდინაცია. ცნობილი იაპონელი მევიოლინე და მასწავლებელი შინჩი სუზუკი მიიჩნევს, რომ ბავშვის ცხოვრების პირველივე დღეებიდან მუსიკის მოსმენა უდავოდ სასარგებლო გავლენას ახდენს მის შემდგომ განვითარებაზე. ექსპერიმენტულად დადასტურდა, რომ ადრეული სკოლამდელი ასაკის ბავშვი თანაბრად აღიქვამს როგორც კლასიკურ, ასევე გასართობ მუსიკას. ამიტომ მნიშვნელოვანია ადრეული ასაკიდან მაღალმხატვრულ რეპერტუარზე აღზრდა. ბავშვი, რომელიც ადრეული ასაკიდან ეზიარება კულტურულ მუსიკალურ მემკვიდრეობას, შემდგომში უკეთ აღიქვამს სილამაზეს, ითვისებს თაობების ძვირფას კულტურულ გამოცდილებას.

აქედან გამომდინარე, ძალიან აქტუალურია მუსიკისადმი ინტერესის განვითარება, დაწყებით საფეხურზე მუსიკის გაკვეთილზე მუშაობის ეფექტური მეთოდოლოგიის ძიება. ბავშვები ბუნებით ცნობისმოყვარე და სწავლის სურვილით აღსავსე არიან. ყველაფერი, რაც მათ სჭირდებათ საკუთარი ნიჭის გამოსავლენად, არის უფროსების გამოცდილი ხელმძღვანელობა. ადამიანში ფანტაზიის აღძვრის უნარით ხელოვნება უდავოდ პირველ ადგილს იკავებს ყველა იმ მრავალფეროვან ელემენტს შორის, რომლებიც ქმნიან ადამიანის განათლების რთულ სისტემას. მუსიკა არის შუამავალი შემოქმედებასა და აღქმას შორის.

არ შეიძლება მუსიკის სწავლება ინტერესის გაღვივების გარეშე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ მაშინ, როდესაც ბავშვები სწავლობენ მუსიკალური ხელოვნების ჭეშმარიტად მხატვრული ნიმუშების აღქმას.

მუსიკისადმი ინტერესის გაღვივება პირველივე გაკვეთილებიდან მნიშვნელოვანია. მოგვიანებით შეიძლება მოსწავლეებს სერიოზული მუსიკის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებაც კი გაუჩნდეთ. მაშინ უკვე მუსიკის მასწავლებელს ამ დამოკიდებულების დაძლევა უკიდურესად გაუჭირდება. რაც უფრო ადრე ისწავლიან და შეიყვარებენ ბავშვები გემოვნებიან მუსიკას, მით უფრო ნაყოფიერი იქნება ეს მათი მუსიკალური განვითარებისთვის, პიროვნების ჩამოყალიბებისთვის. მუსიკის მოსმენა ავითარებს ინტერესს, აფართოებს მუსიკალურ ჰორიზონტს, ზრდის ბავშვების მუსიკალურ მგრძნობელობას. ფიზიკური ან გონებრივი მუშაობა ინტერესის გარეშე შეუძლებელია. აუცილებელია ინტერესთა მიმართულების შეცვლა, მათი გადართვა ერთი სფეროდან მეორეზე. განათლების მიზანია პოზიტიური ინტერესების გაღვივება და არასასურველის აღმოფხვრა.

შემეცნებითი ინტერესის სტრუქტურა:

©განათლების e-სახლი



კლასიკური მუსიკა, მაღალმხატვრული ნაწარმოების მოსმენა ავითარებს გემოვნებას. ტერმინი „კლასიკური მუსიკა“ Lat Classicus – ნიშნავს სამაგალითოს, სრულყოფილს.

მოზარდებში ინტერესის ფორმირების შინაარსისა და სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია განისაზღვროს კლასიკური მუსიკისადმი ინტერესის შემდეგი ფუნქციები: ღირებულებითი, შემეცნებითი, მარეგულირებელი.

ღირებულებითი ფუნქცია გამოიხატება ემოციური და ღირებულებითი დამოკიდებულების ფორმირებაში, რომლის დროსაც მოზარდი კლასიკურ მუსიკას აღიქვამს, როგორც მსოფლიო მუსიკალური კულტურის განუყოფელ ნაწილს.

ღირებულებითი ფუნქციის სუსტი გამოვლინების დროს მოზარდი არ უარყოფს აკადემიურ მუსიკას, თუმცა ვერ გრძნობს მასში პიროვნულ ღირებულებას ან მნიშვნელობას. ხოლო ნორმალური გამოვლინებისას მოზარდი უპირატესობას ანიჭებს კლასიკურ მუსიკალურ ნაწარმოებებს.

შემეცნებითი ფუნქცია გამოიხატება აკადემიური მუსიკის თავისებურებების შესახებ ცოდნის გამდიდრებასა და სისტემატიზაციაში, მუსიკის ენის გაგებაში.

მოსწავლეები, რომლებსაც მოსწონთ რეპი – ხშირად დასცინიან სერიოზული, კლასიკური მუსიკის მოყვარულებს, საყვედურობენ მათ მივიწყებული ჟანრების მოწონების გამო და რეპ-კულტურას ჩვენი დროის მიღწევად თვლიან. ისინი არც კი ფიქრობენ, რომ ეს ჟანრი მრავალი საუკუნის წინ აფრიკაში წარმოიშვა და შემდეგ ის წარმატებით გადაამუშავეს მე-20 საუკუნის კომპოზიტორებმა (ამის მაგალითია ჯორჯ გერშვინის ოპერა „პორგი და ბესი“). ამის გაგების შემდეგ რეპის მოყვარულები კლასიკური მუსიკის მოყვარულებს მეტი პატივისცემით ეპყრობიან.

©განათლების e-სახლი

მარეგულირებელი ფუნქცია გამოიხატება როგორც კლასიკური მუსიკისადმი ინტერესის თვითრეგულირებაში, ასევე მოზარდის შემოქმედებით საქმიანობაში.

სუსტი გამოვლინების დროს, მოსწავლეები თავს იკავებენ აკადემიური მუსიკის ნაწარმოებების ზეპირი განხილვისგან, ასევე მოსმენილი ფრაგმენტის წერილობით ანალიზში მონაწილეობისგან. ნორმალური გამოვლინება ხასიათდება მოზარდის აქტიური მონაწილეობით მოსმენილი მუსიკის ერთობლივ განხილვაში.

კლასიკური მუსიკისადმი ინტერესის დონეები:

– ცნობისმოყვარეობა (დაბალი დონე) – ემოციური რეაქცია ცნობისმოყვარეობის დონეზე ხასიათდება ხანმოკლე ხანგრძლივობით;

– ცნობისმოყვარეობა (საშუალო დონე) – შემეცნებითი აქტივობის დამახასიათებელი გამოვლინება კლასიკური მუსიკის შესწავლილი ნაწარმოებების მიმართ. ამ დროს მოზარდი ცდილობს, გაიგოს მუსიკალური ენა, დაეუფლოს მუსიკის ჟანრებსა და სტილს;

– მდგრადი ინტერესი (მაღალი დონე), ხასიათდება აკადემიური მუსიკის სტაბილური პოზიტიური შეფასებით, აქტიური მუსიკალური და შემოქმედებითი აქტივობით.

კლასიკური მუსიკის მოსმენისადმი ინტერესის განვითარების დონეების გათვალისწინებით, საჯარო სკოლის მოზარდებში შესაძლებელია კლასიკური მუსიკისადმი ინტერესის განვითარების გარკვეული მოდელის განსაზღვრა.

პირველ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა მოზარდში კლასიკური მუსიკალური ნაწარმოებების ფრაგმენტების მოსმენისას ემოციის აღძვრა. მოსწავლე იღებს მხოლოდ ზოგად წარმოდგენას მუსიკალური ნაწარმოების შესახებ, რომელიც შეიძლება სიღრმისეულად უმნიშვნელო იყოს. ამ ეტაპზე მასწავლებლის ამოცანაა, დაეხმაროს მოზარდს ნაწარმოებისადმი დამოკიდებულების პოვნაში – გაიგოს, რა გრძნობებს იწვევს მასში ეს მუსიკა. მასწავლებელი ყოველმხრივ ასტიმულირებს მოზარდების ემოციურ დამოკიდებულებას კლასიკური მუსიკისადმი, სთავაზობს მას საუკეთესო მუსიკალური შედევრების მოსმენას. ამ ეტაპის შედეგია ცნობისმოყვარეობის დონის მიღწევა (დაბალი დონე).

მეორე ეტაპი (ინტელექტუალური) დაკავშირებულია მოსმენილი მუსიკალური მასალის ანალიზთან, რომლის მიზანია კლასიკური მუსიკის სფეროში ცოდნის გამდიდრება. მოზარდები ეცნობიან მუსიკალური ნაწარმოების ექსპრესიულობის კონცეფციას, იძენენ ცოდნას კომპოზიტორებისა და მუსიკოსების შესახებ კლასიკური ევოლუციის კონტექსტში. კლასიკური ნაწარმოებისადმი ემოციური აღქმა უფრო ღრმა ხდება და შემოქმედებითი აქტივობა ძლიერდება. პირველი ეტაპისთვის დამახასიათებელი მთლიანობის აღქმა ადგილს უთმობს დიფერენცირებულს, შინაარსობრივს. ამისათვის მასწავლებელი მოზარდების ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ გადმოსცემს კომპოზიტორი ნაწარმოების შინაარსს, როგორი მუსიკალური და ლექსიკური საშუალებებით. მეორე ეტაპის შედეგია ცნობისმოყვარეობის დონის მიღწევა (შუალედური დონე).

©განათლების e-სახლი

<u>მესამე ეტაპზე</u> აქტივობის მიზანია მოზარდების დამოუკიდებლობის გააქტიურება კლასიკური მუსიკის აღქმისას. მოზარდები იწყებენ ემოციური სიამოვნების მიღებას კლასიკური მუსიკის ნაწარმოებებთან კომუნიკაციისგან. აღქმის ამ ეტაპზე ხდება მოსმენილი მუსიკის ემოციური შთაბეჭდილებების ურთიერთქმედება და მისი აზრიანი აღქმა, რაც დაკავშირებულია მუსიკალური ნაწარმოების ღრმა ანალიზთან. თუ მოზარდი, რომელიც უსმენს აკადემიურ მუსიკას, გრძნობს და ცდილობს მის შეცნობას, მაშინ ეს ნაწარმოები მისთვის ღირებული ხდება. მუსიკალური რეპერტუარის შერჩევისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოზარდების ემოციური რეაგირება. მესამე ეტაპის შედეგია მდგრადი ინტერესის ფორმირება (მაღალი დონე).

აღქმის ამ ეტაპზე ხდება მოსმენილი მუსიკის ემოციური შთაბეჭდილებების ურთიერთქმედება და მისი გააზრებული აღქმა, რაც დაკავშირებულია მუსიკალური ნაწარმოების ღრმა ანალიზთან. აკადემიური მუსიკისადმი ინტერესის განვითარებისას მნიშვნელოვანია თანმიმდევრულობისა და ეტაპობრიობის როლი.

მოზარდებში აკადემიური მუსიკისადმი ინტერესის განვითარებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ:

- მოზარდობის ფსიქოლოგიური მახასიათებლები;
- აკადემიური მუსიკის მოსმენისადმი ინტერესის განვითარების დონეების დიაგნოსტიკა;
- შესაბამისი მუსიკალური და საგანმანათლებლო გარემო, როგორც საკლასო ოთახში, ასევე სკოლის გარეთ.

ამჟამად პოპულარულია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, რომლის დროსაც მასწავლებელი აზროვნების განვითარებას წინა ცოდნაზე დაყრდნობით ცდილობს. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების ორგანიზება კი ის გახლავთ, რომ მასწავლებლის სწავლების ძირითადი მეთოდი არ ითვალისწინებს მასალის ახსნას, არამედ კითხვების, შემეცნებითი ამოცანების ფორმულირებას, სასწავლო დავალებებს, რომლებიც შეიცავს პრობლემებს.

მუსიკის გაკვეთილზე პრობლემური მეთოდების გამოყენება ძალიან შრომატევადია – მასწავლებელს გაცილებით მეტი დრო და ძალისხმევა სჭირდება, ვიდრე ტრადიციული მეთოდების გამოყენებისას: ბავშვებმა უნდა იფიქრონ კითხვაზე პასუხის შესახებ; ისაუბრონ, იპოვონ დავალების შესრულების ვარიანტი. მუსიკის გაკვეთილზე პრობლემური სიტუაციების შექმნას ხელს უწყობს კომპიუტერული ტექნოლოგია, რომლის დროსაც მოსწავლეები ადარებენ და მოჰყავთ ანალოგიები. მაგალითად, ერთმანეთს ადარებენ ორ-სამ ნაწარმოებს, რომლებიც ერთმანეთის საპირისპირო ჟანრისაა. გაკვეთილის მსვლელობისას მასწავლებელი აკვირდება ბავშვების აქტიურობას, აფასებს მათ რეაქციებს, ითვალისწინებს ინტერესისა და ყურადღების ხარისხს.

მუსიკას შეუძლია ინტერესის გაღვივება, მოსწავლის აღფრთოვანებაში მოყვანა; შეუძლია, განაცდევინოს მას სიხარული და სევდა, იმედი და იმედგაცრუება, ბედნიერება და ტანჯვა – ყველა ადამიანური გრძნობა. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს – ასწავლოს მოსმენა, განცდა. ამავე დროს, აუცილებელია მოზარდების შემეცნებითი ინტერესის გაღვივება – ამისათვის საჭიროა გააზრებულად დავგეგმოთ მუსიკის მოსმენის პროცესი.

©განათლების e-სახლი

მუსიკის მოსმენის პროცესში აკადემიური მუსიკის აღქმის გასაუმჯობესებლად სასურველია, გამოვიყენოთ სხვადასხვა მეთოდი:

<u>კონტრასტული შედარებების მეთოდი</u> ხელს უწყობს მუსიკის აღქმის ცნობიერებას, პრობლემური სიტუაციის შექმნას, აძლიერებს მუსიკისადმი ემოციურად რეაგირებას, ავითარებს პიროვნების წარმოსახვასა და შემოქმედებითობას.

ეს მეთოდი ემყარება დავალებების სისტემას, რომლის დროსაც ერთმანეთს ადარებენ კონტრასტულ ნაწარმოებებს, ერთნაირი განწყობის ნაწარმოებებს, მუსიკისა და მეტყველების ინტონაციებს, ერთი ნაწარმოების სხვადასხვა ინტერპრეტაციას.

<u>მუსიკის ინტონაციურ-სტილისტური გააზრების მეთოდი</u> უზრუნველყოფს სხვადასხვა ფენის მუსიკალური კულტურის შინაარსობრივ წარმოდგენას ინტონაციურ შედარებებში, ეპოქალურ და ეროვნულ სტილში. ეს მეთოდი ხელს უწყობს ტრადიციებისა და ინოვაციების იდენტიფიცირებას, ხელოვნების უწყვეტობასა და განვითარებას. მეთოდი მიზნად ისახავს სკოლის მოსწავლეების მუსიკალური და სმენითი გამოცდილების განვითარებას ინტონაციის საფუძველზე. აუცილებელია, რომ მოსწავლეებმა იგრძნონ და გააცნობიერონ მუსიკალური ინტონაციის გამომხატველი და ფერწერული შინაარსი.

<u>მხატვრული გამოსახულების მოდელირების მეთოდი</u> ნაწარმოების მხატვრული გამოსახულების, მისი შინაარსის შემეცნების ერთ-ერთი მეთოდია. მხატვრული გამოსახულების მოდელირებისა და მისი განხილვისას ჩნდება სიტუაციები, რომლებიც აიძულებს მსმენელს, განსაზღვროს თავისი პოზიცია სიუჟეტის პერსონაჟებთან მიმართებაში, შეაფასოს მათი იდეალები, პრინციპები, მსოფლმხედველობა.

<u>მხატვრულ-შემოქმედებითი პროცესის მოდელირების მეთოდი</u> მიზნად ისახავს ბავშვის შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარებას. ეს მეთოდი მოითხოვს დამოუკიდებლობას შემოქმედებითობაში, ხელს უწყობს ინდივიდუალური მოსმენისა და შემოქმედებითი ინტერპრეტაციის უნარების განვითარებას. მასწავლებლის ამოცანაა, მოახდინოს შემოქმედებითი პროცესის სიმულაცია, რათა ბავშვმა დაინახოს საკუთარი თავი სხვა ადამიანის პოზიციიდან.

<u>მუსიკის ბგერის ბუნებასთან ასიმილაციის მეთოდი</u> გულისხმობს სხვადასხვა სახის შემოქმედებითი მოქმედების გააქტიურებას, რომელიც მიზნად ისახავს მუსიკალური გამოსახულების გაგებას, მხატვრული აზროვნების განვითარებას.

<u>ემოციური გავლენის მეთოდი.</u> ემოციური და შემოქმედებითი ატმოსფეროს შესაქმნელად მუსიკალური აქტივობის სტიმულირების სხვადასხვა ხერხი გამოიყენება. ემოციური გავლენის მეთოდი გულისხმობს მასწავლებლის უნარს, გამოხატოს თავისი დამოკიდებულება მუსიკალური ნაწარმოების მიმართ სიტყვით, სახის გამომეტყველებით, ჟესტებით, ხმის ტემბრით, რომელიც შეიძლება შეიცვალოს ბუნებისა და განწყობის მიხედვით. თბილად და ნაზად ისაუბრეთ იავნანაზე, მკაცრად და გაბედულად – პატრიოტულ სიმღერაზე. მასწავლებელი იყენებს ყველა ექსპრესიულ ხერხს მუსიკის ემოციური ზემოქმედების გასაძლიერებლად და მოსწავლეთა შთაბეჭდილებების გასამდიდრებლად.

©განათლების e-სახლი

„მიქს-მეთოდი“. მოზარდებს აკადემიური მუსიკის ჟღერადობის ორ ვარიანტს სთავაზობენ: ორიგინალურ ჟღერადობას და თანამედროვე დამუშავებას. ორი ნიმუშის მოსმენის შემდეგ მოსწავლეებს სთხოვენ, შეადარონ ისინი ერთმანეთს. მოზარდების უმეტესობას აკადემიური მუსიკის თანამედროვე ჟღერადობა უფრო საინტერესოდ მიაჩნია, რადგან აქ გამოიყენება მოდური მუსიკალური ინსტრუმენტები (მაგალითად, ელექტრონული გიტარა, რაც ნაწარმოებს უფრო ენერგიულს ხდის). თუმცა, ავტორის განზრახვის გაანალიზებისას, მოზარდები ყურადღებას აქცევენ მის აშკარა დამახინჯებას თანამედროვე არანჟირებაში.

„რემიქსის მეთოდი“ გულისხმობს მუსიკალური ნაწარმოების დამოუკიდებელ დამუშავებას. კლასიკური მუსიკის დამუშავება ხორციელდება ორი გზით: ელექტრონული ფორტეპიანოს და კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით. მოზარდები გვთავაზობენ კომპოზიციის საკუთარ ვერსიებს, რომლებიც მასწავლებლის დახმარებით ხორციელდება.

პროექტის მეთოდი მიმართულია მკაფიოდ განსაზღვრული მოცემული პრობლემის გადასაჭრელად.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები მოიცავს შემდეგს:

- მოსწავლეების ინტერესის განვითარება კლასიკური მუსიკის მიმართ;
- მოსწავლეების უნარი ეფექტურად გააცნობიერონ საკუთარი თავი შემოქმედებითი პროცესის სხვადასხვა სფეროში, რომელიც დაკავშირებულია კლასიკურ მუსიკასთან;
- მოსწავლეებში ინდივიდუალური და ჯგუფური შემოქმედებითი პროცესის უნარის ჩამოყალიბება.

კლასგარეშე აქტივობები. ერთობლივი კულტურული გასვლები ოპერის თეატრში, ფილარმონიაში, რასაც მოჰყვება მეგობრული დისკუსია. ღონისძიების ეს ფორმა აუცილებელია მოზარდების კულტურული დონის ასამაღლებლად, აკადემიური მუსიკისადმი ინტერესის გასაღვივებლად. პირველ რიგში, მოსწავლეები ეხებიან მუსიკას ვიზუალურად (განსაკუთრებით მუსიკალური წარმოდგენის – ოპერის ან ბალეტის სახით); მეორეც – ის დიდ საგანმანათლებლო გავლენას ახდენს მოზარდების ესთეტიკურ განვითარებაზე – ბავშვებს ნამდვილი ხელოვნების სამყაროში იწვევენ, რომელიც განსხვავდება იაფი მასობრივი კულტურისგან.

კომუნიკაცია მოწვეულ მუსიკოსებთან – შემსრულებლებთან (პროფესიონალებთან და მოყვარულებთან). კლასგარეშე აქტივობების ეს ფორმა დაეხმარება მოსწავლეებს, მეტი გაიგონ კლასიკური მუსიკისა და შესრულების სპეციფიკის შესახებ.

კლასგარეშე აქტივობების ერთ-ერთი ეფექტური სახეობა, რომელიც აყალიბებს აკადემიური მუსიკის მოსმენის ინტერესს, არის ფილმის ყურება ახალგაზრდა მუსიკოსების შესახებ. ახალგაზრდა მუსიკოსების მაგალითი შეიძლება გახდეს მოზარდის თვითგანვითარების ძლიერი მოტივატორი და სტიმული.

ესეი მუსიკის მოსმენის შესახებ. ამ ტიპის სამუშაო შეიძლება შესრულდეს როგორც საშინაო დავალების ნაწილი – მაგალითად, მასწავლებელს შეუძლია შესთავაზოს თემა ესეის დასაწერად „აკადემიური მუსიკა ჩემს ცხოვრებაში“. მოსწავლეები ასეთ ესეებში გამოხატავენ თავიანთ

©განათლების e-სახლი

დამოკიდებულებას სერიოზული მუსიკის მიმართ – ისინი განმარტავენ, როგორი მუსიკა მოსწონთ/არ მოსწონთ და რატომ, რა გრძნობებს იწვევს ის მათში.

ამჟამად მოზარდებში განსაკუთრებით მწვავედ დგას აკადემიური მუსიკისადმი ინტერესის განვითარების პრობლემა. ამ საკითხის აქტუალობაზე მოწმობს სულიერი, მორალური ფასეულობების დაბალი დონე თანამედროვე მოზარდების გარემოში, საშინაო და მსოფლიო აკადემიური მუსიკალური ხელოვნების ნიმუშებისადმი სათანადო ინტერესის ნაკლებობა.

მოზარდებში აკადემიური მუსიკის მოსმენისადმი ინტერესის განვითარების პროცესი წარმატებული იქნება, თუ გამოყენებული იქნება პედაგოგიურ მოდელი, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ფორმას – სასწავლო პროცესის ორგანიზება (საგანმანათლებლო, კლასგარეშე და საპროექტო აქტივობები) და მასთან დაკავშირებული მეთოდები და ტექნიკა.

კლასიკური მუსიკის მოსმენისადმი ინტერესის განსავითარებლად აუცილებელია ჰარმონიული ურთიერთქმედება კულტურასა და საზოგადოებას შორის. კლასიკური მუსიკა ამ პროცესში საუკეთესო საშუალებაა კაცობრიობის მუსიკალური კულტურის, ისტორიისა და ტრადიციების გასაცნობად.

გამოყენებული ლიტერატურა

- დიმიტრი უზნაძე – *ბავშვის ფსიქოლოგია;*
- ლორა ბერკი-ბავშვის განვითარება
https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/bavshvis-ganvithareba.pdf;

მერაბ მაღრაძე-ასაკობრივი ფსიქოლოგიის საკითხები

https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/333967;

- ქეთევან ჭკუასელი-პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები;
- მაკ-დუგალი, სოციალური ფსიქოლოგიის პრობლემები;
- ვ.პეტერსი – მოზარდობის სტრუქტურა;
- გ.ცუკერმანი-თვითგანვითარების ფსიქოლოგია;
- კაბალევსკი – მშვენიერი აღვიძებს კარგს;
- კ.ორფი -ბავშვთა მუსიკალური განათლების სისტემა .
- ა.პალაუსკასი- მუსიკის შემეცნება, როგორც საგანმანათლებლო პრობლემა

სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტი ძირითადი ზოგადი განათლებისთვის/განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

- ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024.